

ონლაინ უმაღლესი განათლება საქართველოში: პოლიტიკა, ბარიერები და
პოტენციალი

ელენე ცირამუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ცირამუა

03.07.2020

აბსტრაქტი

ონლაინ უმაღლესი განათლება სწავლა-სწავლების ყველა იმ აქტივობას გულისხმობს, რომელიც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ციფრული საშუალებებით ხორციელდება. ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში ონლაინ უმაღლესი განათლება უფრო და უფრო პოპულარული ხდება, თუმცა უნივერსიტეტში მის დაწესებასა და განხორციელებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის სახელმწიფოს პოლიტიკა ონლაინ განათლებასთან მიმართებაში, უნივერსიტეტის ფილოსოფია და პოლიტიკა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმოდგენები ონლაინ განათლებაზე.

მოცემული ნაშრომის მიზანია, იკვლიოს საქართველოში ონლაინ უმაღლესი განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, ბარიერები და პოტენციური საკანონმდებლო აქტების, საერთაშორისო შეთანხმებებისა და უნივერსიტეტების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ანალიზისა და უმაღლესი განათლების ექსპერტებთან, პოლიტიკის შემმუშავებლებთან და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით.

მოცემულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა ითვალისწინებს სწავლების ონლაინ მეთოდს, თუმცა არსებობს შეზღუდვები მის განხორციელებასთან დაკავშირებით. საქართველოში ონლაინ უმაღლესი განათლების მიმდინარე ტენდენციებზე გავლენას ახდენს საერთაშორისო პარტნიორობა და შეთანხმებები და მის განვითარებას ხელს უწყობს უმაღლესი განათლების სისტემაში ისეთი პრინციპების დაწესება, როგორცაა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განათლების მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ონლაინ უმაღლესი განათლება, დისტანციური უმაღლესი განათლება, ონლაინ განათლების პოლიტიკა, ონლაინ განათლების პოტენციალი.

Abstract

Online higher education entails all the digitally conducted activities of teaching and learning in the higher education institutions. In recent years, online higher education has become increasingly popular all over the world. But the introduction and implementation of it in higher education being influenced by various factors, including the state's policy on online education, philosophy of the university and its policy, perception of the academic staff and students.

The following thesis examines Georgia's online education policy in higher education, existing barriers and potential through the analysis of the relevant legislative acts, international agreements, university policy-making documents and in-depth interviews with higher education experts, policy makers and university representatives.

The following study revealed that while the higher education system in Georgia incorporates the possibility of online learning, there are limitations to the implementation of it. Trends in Georgia's online education are influenced by international partnerships and agreements, and the development of online education in Georgia is promoted by the introduction of principles in the education system such as lifelong learning, education accessibility, education modernization and internationalization.

Keywords: online higher education, distance higher education, online education policy, online education potential

მადლობა

მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით უმაღლესი განათლების ექსპერტებს, პოლიტიკის შემმუშავებლებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

მადლობას ვუხდით ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მხარდაჭერისთვის.